

ხელშეკრულება #37
სატრენინგო მომსახურების შესახებ
CPV: 80522000 - საწვრთნელი / საგანმანათლებლო სემინარები

თბილისი

06 მარტი, 2023 წელი

ერთი მხრივ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - შემსრულებელი), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კარლო კოპალიანის სახით და მეორე მხრივ ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნამალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი (შემდგომში - დამკვეთი), დირექტორის დათო რურუას სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი ავალეს ხოლო შემსრულებელი აცხადებს, რომ გააჩნია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენცია და იღებს ვალდებულებას გაწიოს შემდეგი მომსახურება: ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნამალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის თანამშრომელთათვის (ნოდარ მაჭარაშვილი, დავით კოტრიკაძე, გიორგი მიხელიძე, ნოდარ ტურაშვილი, თორნიკე ჭაბუკიანი, დავით საყვარელიძე, გიორგი თვაური, ზაქარია მჭედლიძე) ტრენინგი თემაზე, „გათბობის სისტემების მომსახურების სპეციალიტების მომზადება“

1.2 სასწავლო კურსის მოცულობა შეადგენს 16 საათს.

1.3 სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, დანართი 1, დანართი 2-ის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობა

2.1 შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ტრენინგების ჩატარება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ დამკვეთთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით წინასწარ შეთანხმებულ ვადებში

ბ) ტრენინგის ჩატარება საკუთარ აუდიტორიულ ბაზაზე (თბილისი, კოსტავას ქუჩა N68ბ).

გ.) ტრენინგის გავლის შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ დამადასტურებელი სერტიფიკატები

2.2 დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების შემდეგ სამუშაოს სრული ღირებულების გადახდა.

3. პასუხისმგებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ფორსმაჟორი

3.1 შემსრულებლის მიზეზით ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული სიტუაციებისა) შემსრულებელი დამკვეთს უზრუნველ მის მიერ ჩარიცხულ თანხას;

3.2 დამკვეთის მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს არ უზრუნველდება მის მიერ ჩარიცხული თანხა;

3.3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მომსახურების ღირებულება, მისი ანაზღაურების წესი

4.1 ერთი სპეციალისტის მომზადების ღირებულება შეადგენს 240 ლარს, ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (8 თანამშრომელზე გაანგარიშებით) - 1 920 (ერთიათას ცხრაას ოცი) ლარს. წინამდებარე ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (ხუთი სამუშაო დღის ვადაში).

4.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების მომსახურების და მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულების მომსახურების გაწევის ვადაა 30 (ოცდაათი) სამუშაო დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

5.2 ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

5.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან.

5.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები წყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დავის გადაწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ყველა უთანხმოება უნდა მოწესრიგდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

6.2 მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა სახის უთანხმოება წყდება მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7. სხვა დებულებანი

7.1 ხელშეკრულება შესრულებულია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულმათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები:

დამკვეთი

შემსრულებელი

ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნამალადევის
კომპლექსური სპორტული ცენტრი
თბილისი, გლდანის Vმ/რ, ილია ვეკუას ქუჩა N127
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი: 7 4178 7499
ს/კ 400085572
დირექტორი დათო რურუა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0171, კოსტავას ქუჩა N77
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი: 708977259 (ცენტრი N106)
ს/კ 211349192
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარლო კოპალიანი

თეორიული კურსი

1. გათბობის სისტემები, მათი დანიშნულება, ძირითადი სახეები, გათბობის სისტემების ძირითადი ელემენტები, მათი დახასიათება, გათბობის სისტემების თბოშემცველები, მათი დახასიათება და ურთიერთშედარება ცენტრალური და ადგილობრივი გათბობის სისტემები, მათი ძირითადი სქემები.
2. სათავსის თბური რეჟიმი, მიკროკლიმატის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები: ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე. მათი საანგარიშო მნიშვნელობები, გაზომვა და საზომი ხელსაწყოები. თბური რეჟიმის უზრუნველყოფა, კომფორტის და დისკომფორტის პირობები.
3. სათავსის თბური დატვირთვის განსაზღვრა. სითბოს რაოდენობის განსაზღვრა გათბობისათვის, ცხელი წყლის მოსამზადებლად და ვენტილაციისათვის თბური დატვირთვის მიხედვით თბოგენერატორის სიმძლავრის და საჭირო სათბობის რაოდენობის განსაზღვრა.
4. გათბობის სისტემების თბოგენერატორები, მათი ძირითადი სახეები: გაზის, თხევადი და მყარი სათბობების ქვაბები. ქვაბში სითბოს წვა და თბური ენერჯის გამომუშავება, ნამწვი პროდუქტები და მათი გაყვანა გარემოში.
5. გათბობის სისტემების ძირითადი სქემები. ბუნებრივი და იძულებითი ცირკულაციის სისტემები. მათი შემადგენელი ელემენტები და არმატურა. საცირკულაციო ტუმბოები მათი სახეები. ხარჯის და წნევის განსაზღვრა სისტემაში საცირკულაციო ტუმბოს ჩართვა. საფართობიანი ჭურჭელი, გათბობის სისტემაში მისი ჩართვის სქემები. ს.ჭ.-ის მოცულობის განსაზღვრა და შერჩევა გათბობის სისტემაში წყლის რაოდენობის გამოთვლა.
6. გათბობის სისტემიდან ჰაერის გაყვანა ადგილობრივი და ცენტრალური ჰაერგამყვანები. საჰაერო საცობები და გათბობის სისტემაში მათი წარმოქმნის ადგილები, მათი ლიკვიდაცია.
7. გათბობის სისტემების წყლით შევსება და დაცლა. შემვსებ-დამცლელი მოწყობილობა. ხელის ტუმბო, სატალახე, თბოჰიდრავლიკური გამანაწილებელი და ა.შ.
8. გათბობის სისტემების სათბობი ხელსაწყოები, რადიატორები, კონვექტორები, გამომსხვივებლები და ა.შ. იატაკის გათბობა. ჩამკეტ-მარეგულირებელი არმატურა და საკონტროლო საზომი ხელსაწყოები.

პრაქტიკული კურსი

1. გათბობის სისტემების ფილტრების და სატალახების გაწმენდა.
2. საცირკულაციო ტუმბოების მუშაობის შემოწმება.
3. დამცველი სარქველების მუშაობის შემოწმება.
4. საფართობელი ჭურჭლის შემოწმება.
5. გათბობის სისტემაში წნევის შემოწმება (საჭიროების შემთხვევაში შევსება).
6. გათბობის სისტემაში ჰაერის შემოწმება (საჭიროების შემთხვევაში მისი გაყვანა).
7. სისტემის დათბუნების შემოწმება.
8. თბოგადამცემების ზედაპირების შემოწმება.

დამკვეთი

შემსრულებელი

დათო რურუა

კარლო კოპალიანი